სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363



## დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

დაიბეჭდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი

# სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით
რომელიც ორ ნაწილად არის შემდგარი

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლმადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატვრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრ-მეტყველებ საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი —ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავი-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზე, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელ განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და კრებული ნიმუშებისა (ქრის-ტომატია) ორ-ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^1/_2$ თაბახს და ჰღირს **ერთი მანათი**.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებ არ იყიდის, $20^0/_0$ დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი.
უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი
თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ. ფასი სამი შაური. (10—4)

გამოვიდა და ისყიდება „წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგ. მაღაზიაში

# იუდა

(ნადსონისა)
ნათარგმნი **ილ. ფერაძის-მიერ**, გამოცემა ქქ. ხელაძისა. ფასი 3 კაპიკი.
იმავე ავტორის თხზულება: **Мысли Преосвященнаго Гавріила епископа Имеретіи о воспитаній дѣтей"** ისყიდება ბ. ხიდღელის წიგნის მაღაზიაში, ფასი **20** კაპ. (10—7).

# ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ **К. М. Чиковани**
Михайлов., № 16.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
# ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
**Докторъ медицины и хирургъ**
# БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
# ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმოფნი: შინაგანის, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერატი**.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი**.
**20** მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. გაცევიჩი**.
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი**.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. გ. თოფურია**.
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


# ახალი ამბავი

—

*** ეკატერინე გაბაშვილის ახალი თხზულება. ჩვენს სასიქადულო რომანისტს, ქალბატონს ეკატერინე გაბაშვილისას, ახალი რომანი დაუწერია ჩვენის ცხოვრებიდან. ამ რომანის ბეჭდვა მომავალის წლის „მოამბის" პირველ ნომერში დაიწყება.

*** ნათლის-ღებისათვის. რადგან იორდანეზე აუარებელი ხალხი იყრის თავს და პოლიცია-კი თვისი სიმცირის გამო, ვერ იჭერს მას, ამის გამო ქალაქის მოურავმა, ტფილისის პოლიცმეისტერთან შეთანხმებით, გადასწყვიტა, რომ პროცესსის დროს წესიერების დასაცველად მოიწვიოს პოლიციის დასახმარებლად, როგორც მეშჩანთა ისე ხელოსანთა არჩეული პირები. ამ აზრით ქალაქის მოურავმა სთხოვა ხელოსანთა მოურავს და მეშჩანთა მამასახლისს, შეადგინეთ პოლიციის დასახმარებლად მეშჩანთა და ხელოსანთაგან ორი ჯგუფი, თითო ას-ასი კაცით, ერთი ამ ჯგუფთაგანი უნდა დადგეს მართლ-მადიდებელთა იორდანეზე, მეორე-კი სომხებისაზეო.

*** ახალი რკინის გზები. გაზეთები იუწყებიან, რომ ახალ რკინის გზების, მათ შორის კახეთის გზის, გასაყვანად თხოულობენ 12

მილიონ მანეთს, ხოლო მეორე ხარისხოვან გზების გასაყვანად—10 მილიონს.

⁂ **ტფილისის 1-ლ გიმნაზიის მოწაფეები.** 1897/8 დამლევს ტფილისის 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში ყოფილა სულ 776 მოწაფე, მათ შორის შემდეგ კლასებში გადაუყვანიათ 649 მოწაფე. შემდეგს კლასებში გადაყვანილ მოწაფეთა-შორის განსაკუთრებით კარგად უსწავლიათ ებრაელთ (93%), ქართველებს (87%), რუსებს (85%), სომხებს (80%), ხოლო ყველაზე უფრო ნაკლებად უსწავლიათ თათრებს (75%), გვარტომობით მოწაფენი განიყოფებიან შემდეგი სახით: რუსი—333, ქართველი—126, სომეხი—208, თათარი—32, ებრაელი—28, ფრანგი, ნემეცი და სხ.—49. სარწმუნოების მიხედვით: მართლ-მადიდებელი—448, სომეხ-გრიგორიანი—205, კათოლიკე—42, პროტესტანტი—21, ისრაელი—28 და მოსლემანი—32; წოდებათა მიხედვით: თავად-აზნაურთა და მოხელეთა შვილები—551, სასულიერო წოდებისა—14, საპატიო მოქალაქეთა და ვაჭართა—23, ქალაქის სხვა წოდებათა—173, გლეხთა და დაბალ მოხელეთა—12, უცხოელთა—3. კურს-დამთავრებულ კლასის 48 მოწაფემ მიიღო სიმწიფის ატესტატი, ოთხ მათგანს მიეცა ოქროს მედალი, ხოლო ერთს—ვერცხლისა. მიმდინარე სამოსწავლო წლის დამდეგს მოწაფეთა რიცხვს შესამჩნევად უმატნია. 776-იდან ეს რიცხვი ავიდა 834-ზე.

⁂ **მუშაობის განახლება დეპო-სახელოსნოში.** ორშაბათს, 21 დეკემბერს, განახლდა მუშაობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპოსა და უმთავრეს სახელოსნოში. პეტერბურგიდან სახაზინო რკინის გზების სამმართველოს გამოუგზავნია ტფილისში მოხელე საქმის გამოსაძიებლად.

⁂ **გაბაშვილის მოკვლის საქმე.** ტუსიევისა, ბარათაშვილისა, ოსიტოვის და ტერ-შმოვანოვის საქმე, რომელთაც ბრალდებათ გაბაშვილის მოკვლა, დანიშნულია განსახილველად ტფილისის საოლქო სასამართლოში მომავალი წლის 3 თებერვალს.

⁂ **ელექტრონის ტრამვაი ქუთაისში.** ქუთაისში ჩასულა ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი როზი იმ აზრით, რომ ინჟინერის მიხაილოვის მაგივრად, თვითონ აიღოს ქუთაისში ელექტრონის რკინის გზის გაყვანის საქმე. როზი უკვე სიტყვიერად მოლაპარაკებია ქალაქის გამგეობას, რომელსაც შეუნიშნავს მისთვის, რომ უჭერხული იქმნება ხელმეორედ დავუბრუნდეთ კითხვას, რადგან მაგ საქმის შესახებ უკვე გვაქვს ერთი დადგენილება.

⁂ **ბათომის ქალაქის გამგეობის ჯამაგირები.** 18 დეკემბერს ბათომის საბჭოს სხდომა ჰქონდა შესახებ ჯამაგირების დანიშვნისა ქალაქის მოურავისა, ქალაქის მოურავის მოადგილისა, გამგეობის წევრთა და საბჭოს მდივნისათვის. ჯამაგირები ისევ ძველი დარჩა: მოურავს—5,000 მ. (186 წინააღ. 16) გამგეობის და წევრს თითოს—2,400 (27 ხმაწინ 6), მოურავის მოადგილეს —600 მ.

⁂ **ყალბი ხელ-წერილი.** ტფილისის მოქალაქემ იაკობ ჯერანოვმა, რომელიც კაიალოვის მაღაზიაში ნოქრად იყო, 19 დეკემბერს ვაჭრის ეპიფანე პანკრატოვის მემკვიდრეთ მოსთხოვა 650 მანეთის გადახდა იმ ხელ-წერილით, რომელიც მისთვის თითქო განსვენებულ პანკრატოვს მიეცეს ამ 23 ნოემბერს. პანკრატოვის მემკვიდრეებმა განაცხადეს, ეს ხელწერილი ყალბიაო. ამ საქმის ვამოძიების დროს ჯერანოვმა დიდი ხნის უარყოფის შემდეგ, 20 დეკემბერს აღიარა, ეს ხელ-წერილი მართლაც ჩემგან არის ყალბად შედგენილი. ჯერანოვი სამართალში მისცეს.

⁂ **მადლობა შემოწირულობისათვის.** აზნაურმა კოზმა გიორგობიანმა შემოსწირა სამი თუმანი ფული სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიის შესაკეთებლად, რისთვისაც დიდს მადლობას უცხადებთ.

ამაღლების ეკკლესიის მღვდელი დ. ბარნაბოვი.

⁂ **დ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი). მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა ამ დღეებში: ოჩამჩირეში მოვაჭრე ნიკო მინჯიას 4 წლის ბავშვი ადუღებულს წყალში ჩავარდა და მოიხარშა. აი როგორ მომხდარა ეს უბედურება: გოგოს, რომელიც თურმე სარეცხს რეცხავდა, სოდა და საპონი გარეული ადუღებული წყალი, კუთხეში ჩიუდგამს ქვაბით. ცოტა ხნის შემდეგ შემორბენილა ბალანა და ადუღებულ წყალში ცარიელი თუნგი ჩაუგდია. რაკი თუნგი ატივტივდა ბალანას გახარებია და კისკისით ქვაბის გარეშემო უწყია სირბილი, მაგრამ სამწუხაროდ, წაბორძიკებულა და პირაღმა ჩავარდნილა მდუღარეში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინათვე მოშველებოდნენ, არაფერი ეშველა და 12 საათის შემდეგ გარდაიცვალა.

— **კიდევ უბედურება.** ს. თუბუშში (სოხუმის ოლქშია) ხერხის სახერხი მანქანა აქვთ გამართული თავ. დ. მაჭუტაძე და და თ. ჩაჩავას. ერთის მეგრელისთვის მუშაობის დროს მკლავი გადაუხერხავს ხერხს. საწყალი დაშავებული მეორე დღეს 40 ვერსიდან მისმა ამხანაგებმა ჩამოიყვანეს ოჩამჩირეში და თავის ტანჯვით ნაშოვნი ფულით უწყეს წამლობა. რომ ცოცხალი გადავრჩე როგორ ვარჩინო დედ-მამა ანუ ცოლშვილიო—ტიროდა საწყალი.

— **მკვლელების აღმოჩენა.** ამას წინად დაკარგულის, რაიცა მკითხველს ეხსომება, თოფის მოხელე ან. შელიას მკვლელები აღმოაჩინა ბოქაულმა ა. შუბინმა. ამ ჟამად დაჭერილია ერთი ბერძნის ცოლი, რომლის სახლშიაც მომხდარა საზიზღარი მკვლელობა.

— **ტალახები.** ჩვენს ქუჩებში ტალახი წელამდეა, ზოგან ურმით ჭირს სიარული.

— **უვარგისი ხორცი** იყიდება მიუხედავად იმისა, რომ ერთს კაცს აქვს მონოპოლიით ხორცის გაყიდვა აღებული. ამ „მონოპოლიობის“ წყალობით დიდი ხანია ჩვენი დაბა გაჭირვებაშია ჩავარდნილი. აქაო და ყოველთვის მაქვს, ბატონო, ხორციო და დათვის ხორცი რომ შეგაძლიონ უნდა წაიღო, რადგან სხვაგან იმასც არ იშოვნი.

— **მეპურეთა უწესოება.** არც მეპურეები არღვევენ ერთხელ დადებულ წესწყობილებას და თავიანთ მოვალეობის ასრულებით მხარს უმშვენებენ ქუჩებსა და საყასბოს. ისეთი მეპურე ოჩამჩირეში სანთლით არ მოიძებნება, რამე პირის გასაგემრიელებელს არ ატანდეს პურში. ჭია-ღუა იქნება იგი, ტალახი თუ სხვა რამე და ამ გვარ ტკბილეულობით შეზავებული პურით სიამოვნებ და გირვანქაში ყოველგვარ მოწყობილობით იხდი 4—5 კაპ. დარწმუნებული ვარ ყურს არ იბერტყავენ დაბის მამები. ან და არც კი შეუხედავთ მეპურის ოთახში თორემ... რა მასალებია იქ მოგროვილი. მშვენიერი სანახავია როცა ზელენ პურს, მაგრამ ამას დაბის გამგენი ხომ არ დაესწრებიან. ისინი ალბათ მაინც დარწმუნებულნი არიან საქმე რაშია და დამშვიდებით ატარებენ ცხოვრებას.. სამიკიტნოები... მაგრამ ესენი ხომ თავმჯდომარე არიან ყველა ზემო ჩამოთვლილ „დაწესებულებათა“, ვინაიდგან სამიკიტნოდან მომდინარეობს ის მკვდარი ქათმები, კატა, ინდოური და ნეხვი, რაიცა ქუჩებს ამშვენებენ. ყველა სამიკიტნოები ერთი მეორეს ჯობია ოჩამჩირეში, მაგრამ განსაკუთრებით სამია შესანიშნავი და ამ სამს დასახელება არ უნდა, რადგან იქ დაიარებიან პ. დან ჭ. ჲ.

დასასრულ უნდა გაუწყოთ, რომ ოჩამჩირე სისუფთავის მხრით იმდენად მაღალია, რომ შავი ჭირი თუ გვესტუმრა რეზიდენცია უეჭველად ოჩამჩირეში ექნება.

კ. გვასალია.

⁂ **ქუთაისი. ნაქურდალის პოვნა.** 15 დეკემბერს ადვოკატის ქუჩაზედ ვარდენ ტარიელის ძე ჟორჟოლაძე (მეორე გილდის ვაჭარს) უნახავს თავის ეზოში ცარიელ ყუთებს ქვეშ ვიღაც ქურდისაგან მიმალული ჩემოდანი ყოფილა დაუკეტელი. დაუხედავს რა ჟორჟოლაძეს, ნივთები ჩემოდნიდან, იმ წამსვე შეუტყობინებია პოლიციისთვის, რომელიც მიუყვანია ადგილობრივ, გაუხსნიათ ჩემოდანი და აღმოუჩენიათ შიგ ორი ითასი მანეთის მეტი ოქროს ნივთები. ამ ნივთებში იპოვეს ერთი მოწმობა, რომელმაც პატრონიც აღმოაჩინა და კიდეც შეატყობინეს ამ უკანასკნელს მისი ჩემოდანის პოვნა. ჩემოდანში ამოჩნდა აგრეთვე ოქროს საათები, ოქროს ბრასლეტ ბი, ბეჭდები და ბევრი ძვირფ ნივთები, რომელიც უკლებლ ჩაბარდა პატრონს. სასურველი, რომ სხვებიც მიბაძავდეს ზ. ჟორჟოლაძეს და აცნობებდნენ ხოლმე პოლიციას დანაკარგის ნახვას.

ჯიონყლი.

⁂ **ს. ახმეტა.** (თიანეთის. — **ამინდები.** წლევანდელი შემოდგომა ნამდვილი შემოდგომა იყო, სულ მშრალად გაიარა და ამიტომ ხალხმა მშრალადვე დაამ ნავა წლის მოსავალი დეკემბერ რომ თიანეთის მაზრაში გლ კაცს გუთანი ება და მიწას ხნავ დეს, და სიცივე კი არ აპრკოლებ დეს, სჩანს სამაგალითო ამინდებ ყოფილა. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანში გამოიცვალა ამინდი; თოვლი მოვიდა ერთ არშინამდე და ხმელი ყინვები დაიჭირა.

მოსული.

⁂ **ს. წიფლიანი** (ქართლი) **მამასახლისის მხეცური მოკვლა** ზლუდერის საზოგადოებაში, ვას ხმიადაშვილის მამასახლისობის შემდეგ, დანიშნულ იქმნა მამასახ ლისად გორგი კორძაია (2 წლისა). მიიღო თუ არა თანამდე ბობა, კორძაია სასტიკად შეუდგა მის შესრულებას. ჩაფრებად მას ოსები ჰყავდა, კორძაიამ ერთი თავის ჩაფართაგანი, სოფ. ზლუდერში მცხოვრები გიგო ფილიშვილი ამ ორი კვირის წინად დაითხოვა სამსახურიდგან, რადგან ე ჩაფარი თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა წესიერად. თვისი და თხოვნით ფილიშვილი, რასაკვი

ველია, უკმაყოფილო დარჩა და დაუწყო მამასახლისს შურის-ძიება. 15 დეკემბერს, გიორგი კორძაია სამსახურის გამო, იყო თავის საზოგადოების ერთ სოფელ წიფლიანში. აქ მას გამოეცხადა ფილიშვილი და დაუწყო თხოვნა, ფული დარჩა ჩემი ნამსახურობისა და უნდა მომცეო. კორძაიამ უპასუხა: ჩადი კანცელარიაში, იქ გიანგარიშებენ და გაგისწორდებიანო. ამ პასუხის შემდეგ ფილიშვილს აღარა უთქვამს რა. კორძაიამ დაიწყო მუხლზე ბარათის წერა, რომელსაც აძლევდა ს. წიფლიანის ამორჩეულ კაცს ფილიშვილისთვის ფულის მიცემის შესახებ.. ფილიშვილი, მასთან კიდევ სხვა მრავალი ამ სოფლის ხალხი და ჩაფრებიც იქვე იდგნენ. ბარათის წერის დროს თავ-ჩაღუნულ გიორგი კორძაიას დათხოვნილმა ჩაფარმა ფილიშვილმა დაჰკრა უკანიდგან კეფაში ამოღებული ხმალი, შემდეგ დაუნაცვლა, კისერზედაც დაარტყა და ყანყრატომდე მიაჩეხა. საბრალო მამასახლისმა ხმის ამოღება ვერც-კი მოასწრო და გადავარდა უკან. გამხეცებულმა ფილიშვილმა არ იკმარა ესა და ძუძუზედ დაუქნია კიდევ განსვენებულს ხმალი, მაგრამ მასრებმა არ გაუშვა ხმალი და მარტო ტანისამოსი გაეჭრა. თავ-მოწყვეტილი კორძაია სკამიდან ძირს გადმოვარდა, მკვლელი ფილიშვილი გარედ გავარდა სისხლიანი ხმლით, მაგრამ იქვე კარზედ მდგომმა ურიადნიკმა შეიპყრო იგი და შეჰკრა. იქვე მდგომნი გაჩერებულიყვნენ, ამ სცენას უყურებდნენ და არც ერთმა მათგანმა არ მოჰკიდა ხელი დამნაშავეს. ამდენ ხალხში ფილიშვილს ხმალი ისე ამოუღია და დაუქნევია, რომ თითქმის არავის დაუნახავს. მოვიდა ადგილობრივი გამომძიებელი და დამნაშავე საპყრობილეში გაგზავნა. გამოძიება სწარმოებს.

ხეუბნელი

## სამეცნიერო ცნობა

ადამიანების დღეგრძელობა. ადამიანის დღეგრძელობაზე სხვა და სხვა დროს ბევრი უფიქრნიათ და ულაპარაკნიათ სწავლულებს. ბევრ რამეს იგონებდნენ ადამიანის სიცოცხლის გასადღეგრძელებლად და ბევრი სჯისა და ბაასის შემდეგ სწავლულებმა შემდეგი გამოიყვანეს:

უმეტეს ნაწილად ხალხი უფრო დიდხანს ცივ ქვეყნებში სცოცხლობს, ვიდრე ცხელ ქვეყნებში. მაგალითად, ფინლიანდელები უფრო გვიანა ჰკარგავენ თავიანთ ვაჟკაცურ შეხედულობას, ვიდრე სხვა ხალხნი და უფრო ცხელ ქვეყნების მცხოვრებლები. ჩრდილოეთის მცხოვრებლები უფრო ღრმა სიბერეში ატარებენ თავიანთ წუთი სოფელს, შესამჩნევლად გვიანა ბერდებიან და ძვლების სახსრები ძლიერ გვიანა ჰკარგავენ თავიანთ ძალას, რასაც სხვა ხალხთა შორის სრულებით არ ვამჩნევთ. ადამიანის დღეგრძელობას აგრეთვე ზღვის სიახლოვეც ხელს უწყობს. სტატისტიკა ცხადად გვიჩვენებს, რომ მეზღვაურები (МОРЯКИ), მეთევზეები და ზღვის ახლო მცხოვრებლები უფრო დიდხანსა ცხოვრობენ, ვიდრე იგინივე, რომელნიც ხმელეთის შუა გულში ცხოვრობენ. როგორც ფიზიოლოგები აცხადებენ ადამიანის სიცოცხლე ჩვენ დროში 125 წელზე მეტს არ აღემატება, მაგრამ შემთხვევა არა საქმეში არ არის მოკლებული, როგორც ქვემო აღნიშნულში ვხედავთ. ამ ჟამად საფრანგეთში, იზერის დეპარტამენტში სცხოვრობს ერთი ღრმად მოხუცებული დედაკაცი 127 წლისა, სახელად მარიამ დიურენი. მისს ცხოვრებაში საფრანგეთში გამოცვლილა ათი მმართველი: ლიუდოვიკი XV, ლიუდოვიკი XVI, საფრანგეთის პირველი რევოლიუცია, კონსულობა, პირველი იმპერია, ლიუდოვიკი XVIII, კარლოს X, ლიუდოვიკი ფილიპპე, მეორე რესპუბლიკა, პირველი იმპერია და ამ ჟამად იგი აბოლოვებს თავისს სიცოცხლეს საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის დროს. დამტკიცებულია, რომ რაც ადამიანი გვიან ამაგრებს თავისს ნერვეულობას და ტანის სახსრებს, მით უფრო იგი დიდხანსა სცოცხლობს. უფრო ყურადღების მიმქცევი მცნება ადამიანის დღე-გრძელობისა არის ნერვებისა და ტანის სუფთად შენახვა და ნორმალური ჭამა-სმა.

პავლე მოსულიშვილი

## თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა

კვირას, 20 დეკემბერს, ქართველთ მსახიობთ „გაითამაშეს" ძველი პიესა „ქორ-ოღლი" ზ. ანტონოვისა. ანტონოვი ნიჭიერი მწერალი იყო და თავის დროს, სამოციან წლებში, ცალი და ბადალი ბევრი არა ჰყვანდა. ყოველი მისი პიესა შეიცავს სინამდვილეს ცხოვრებისას; გმირნი, ანუ მომქმედნი პირნი მისის კომედიებისა ხორც-შესხმული ადამიანები არიან. დიდი გონების ძალა იყო საჭირო, კაცი ზე-გარდმო მადლით ცხებული უნდა ყოფილიყო, რომ ასე ზედ-მიწევნით სწორედ გაეგო მოთხოვნილება და დენიშნულება ლიტერატურისა. ანტონოვი და გ. ერისთავი—ესენი განცალკევებულნი დგანან სამოციან წლებში. არე-მარე ლიტერატურისა მოცულია პიიტიკოსობით. ცხოვრება და მწერლობა მოუცავს მხოლოდ ერთს კულტს—ეს არის კულტი „შავ-თვალებისა", ნარნარ წელისა, „სიყვარულო, რა გრძნობა-ხარ"—ისა.

„ქორ-ოღლი" წარმოადგენს ჩინებულს სურათებს, ამოღებულებს თათრების ცხოვრებიდამ. ერთი ყალბი შტრიხი, ერთი მრუდე კალმის მოსმაც არ ეტყობა. ყოველივე ისე ხდება და ისე სწარმოებს, როგორც არის ხოლმე ნამდვილს ცხოვრებაში.

მთავარი ნაკლი პიესისა ის არის, რომ იგი დამთავრებული არ არის. „ქორ-ოღლი" მხოლოდ კანვაა, მშვენიერი კანვა, რომელზედაც ამოიქარგება ჩინებული დრამა. მდგომარეობა ქალისა თათრის ოჯახში, ბრძოლა სულის თავისუფლებისა, ცხოვრებისა და ადათის შემბოჭველ პირობებთან,—ეს ისეთი ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ხოლმე თავ-ზარ-დამცემი დრამა. „ქორ-ოღლიში" ეს დრამა მხოლოდ ოდნავ არის აღნიშნული. მიუხედავად ამისა, დამსწრე საზოგადოებამ დიდის ინტერესით მოისმინა პიესა ანტონოვისა. მიზეზი ამისი, როგორც აღვნიშნეთ უკვე, არის ცხოვრებრივი სიმართლე და სინამდვილე პიესისა და კარგი ქართული ენა.

არტისტებიც კარგად თამაშობდნენ. ქალი გარელისა, რომელიც მოუმზადებლად ასრულებდა, როგორც გვითხრეს, გულნარას როლს, ჩვენ ძალიან მოგვეწონა ამ საღამოს. ამ არტისტს ეხერხება, დაგვიხატოს ხოლმე განუზომელი სისპეტაკე, სინარნარე, ახალგაზდობა და ანგელოზებრივი გულუბრყვილობა ქალისა! მისს მორცხვს, არა თავ-გასულსა და გაამაყებულს თამაშით, მისს ბუნებრივ, რეალურ თავ დაჭერაში,—ისმის ხმა დაფარულის ჯერ-ჯერობით, დაძინებულის ნიჭიერებისა. კარგის ხელ-მძღვანელობის დახმარებით უნდა გაიღვიძოს ამ ნიჭმა, გაიფურჩნოს. ქ. გარელისა გამოდის სცენაზედ ისეთის მოწიწებით, ისეთის თაყვანის ცემით, როგორიც ჭეშმარიტი მორწმუნე ქურუმი ტაძარში სამღვთო წესის აღსასრულებლად. თუ ბევრისთვის სცენა სახელოსნოა, გარელისთვის იგი ტაძარია. ამ სეზონში მუყაითად ვადევნეთ თვალი მისს თამაშს და ამ დარბაისლობამ, ამ გაღმართებამ მის მიერ სცენისამ ჩვენზედ მომხიბლავი და წარმტაცი ზეგავლენა იქონია.

სხვა არტისტებზედ ამ ხელად არას ვიტყვით; მხოლოდ ვეცდებით, საკვლავიოდ სხვა რომელიმე მსახიობთ დავახასიათოთ... და ამ რიგად სათითაოდ ყველანი.

მეგახლავარ

## სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯან-მრთელობა *)

ბ. მდაბიო ბრძანებლობისათვის. ვინ ხარ შენ ჰ კაცო, მგონებდი თავისა შენისა ბრძნად? რასათვის მაღლობ შენ რომელთამე ნიჭთათვის, მოგებულთა დღითა თვისითა? პირველი ხარისხი სიბრძნისა ესე არს, რათა იცოდე უმეცრებაჲ შენი.

უკეთუ არა გნებავს, რათა შეგრაცხონ შენ სხვათა უგუნურად, განაგდე შენგან უგნურებითი პატივისცემა თავისა შენისა, არა რაჲმე შეამკობს ესრედ შვენიერებსა დედათსა, ვითარ სამოსელი არა ძვირფასი და რიგიანი: ესრეთვე სიბრძნისა უდიდესი შვენიერება არს, რათა გაქვნდეს შესაფერი ქცევაჲ.

სიტყვანი მდაბალ-ბრძნობისა კაცისა მისცემენ სიმართლესა უდიდესსა ბრწყინვალებასა, და განმზომელნი სიტყვათა თვისთა იძულებენ ღტოლვად შეცდომილებათ თვისთა. იგი აროდეს ერწმუნების მხოლოდ ოდენ ჭკუასა თვისსა, არამედ განიხილავს რჩევასა მეგობარსა თვისისასა და აღმოირჩევს მუნითგან სასარგებლოსა; უკუ აქცევს ყურთა ქებისაგან, რომელსაცა არა ერწმუნების იგი და სცნობს თავსა თვისსა ყოველთა უკანასკნელად. ვითარცა საბურველი აღამაღლებს შვენიერებასა დედათასა, ეგრეთვე გამოჩნდების კეთილმოქმედება მისი ყოველთა შინა ბრწყინვალებათა მისთა. განიხილე კაცო, სავსე ამაოებითა! რომელსაცა ჰნახავ შენ დიდებულის სამოსელითა, ბრწყინვალითა შესახედვით. და ყოველსა კერძოსა შინა მავალსა, ამისთვის, რათა აჩვენოს კაცთა თავი თვისი, და ცდილობს დაუცადებელად, რათა ნახოს ვინმე იგი; ვალს იგი, აღმღებელი თავისა, და სჭვრეტს შეურაცხითა თვალითა ყოველთა საწყალთა, სავსე არს უგუნურებითა და ამპარტავნებითა უმდაბლესთა თვისთა ზედა; გარნა რომელნიცა უმაღლეს მისა არიან, ეკიცხვიან ამპარტავნებასა და სირეგვნესა მისსა. უგულებელს ჰყოფს რჩევათა სხვათასა და მინდობილ არს ჭკუასა ოდენ თვისსა და ეცდების სხვათა რჩევათა დაბრკოლებად და უხარის თვისთასა ცრუთა აზრითა და საქმითა და იამების, ოდეს ესმის ქებაჲ თვისი ყოველსა იგი მიიღებს დიდისა წყურვილითა ქებასა თვისსა და ამით მარადის ჰყოფენ მას მღიქვნელნი.

გ. შრომის-მოყვარებისათვის. ვითარცა დრო წარსული მოქცევად არდა შესაძლებელ არს, ეგრეთვე არა ძალგიძს შენ ცნობად: იცოცხლებ შენ მომავალსა დროსა, თუ არა. მაშ ამისთ—

(* იხ. «ცნ. ფურც.» № 710.

ვის არარა დაგრჩების შენ, ჰა გახრწნადო კაცო, თვინიერ ამისა, რათა მოიხმარო შენ სასარგებლოდ აწინდელი დრო. ნუ სწუხ გავლილისათვის ჟამისა და ნურცა გარდასდებ საქმესა შენსა მომავლისათვის დროისა.

ერთი ოდენ წამი არს შენი, რომლითაცა შემძლებელ ხარ დატკბობად და შემდგომი არს წიაღსა შინა მომავლისა დროისა, და თუ რა იშვების მისგან. არა უწყი შენ. აღასრულე მსწრაფლ განზრახული შენი და ნუ დაუტევებ მწუხრადმდე, რაჲცა ქმნად შესაძლებელ იყოს განთიად მცონარება არათდეს ჰშორავს სიგლახაკესა და მოწყალებასა, ხოლო ქმნა კეთილისა საქმისა ჰშობს სიამოვნესა და მხიარულებასა.

შრომის მოყვარება და ძალი ხელისა მუშაობასა შინა სძლევს სიგლახაკესა, და ნაყოფითა მისითა განატარებენ დროსა გულსმოდგინედ.

ვინ იხილა მოკვდავთაგანმა საუნჯე განმრავლებული ზანდუკთა შინა თვისთა და შეიმკო დიდებულიდა სამოსლითა? ვისთვის უბნობენ პატიოსნებასა ქალაქთა შინა? ვინ მეოთვობს რჩევათა შინა სამეფოთა? არა იგია, ვინცა განსდევნა მცონარება სახლით თვისით და რქვა მოწყინებასა: „განმეშორე მე, მომაკვდინებელო მტერო ჩემო“. იგი აღდგების ადრე და დაწვების გვიან, გონებასა თვისსა მოაცლის ფიქრთა შინა და ხორცთა შრომასა შინა, და დაიცვავს ესრედ სიმართლით გონებასა ხორცითურთ.

მცონარი კაცი ვერ იტვირთავს თავსა თვისსა, დროითა დამძიმდების და მიეცემის უქმობასა. იგი მსგავს არს ჯურღმულსა და არა უწყის, თუ რა სურს საქმნელად. დღენი დაახრელებენ მას, ვითარცა ჩრდილი ღრუბლისა, და არარას დაუტევებენ კვალსა ხსოვნისასა, ძარღვნი განუხმებიან სხეულსა შორის მისსა ნიადაგსა ცუდარობითა; გონება მისი არს სიძნელესა შინა და ფიქრი მისი არეულ; იგი ეძიებს სწავლასა და არცა მცირისადმი არს ღონიერ გულსმოდგინებით სწავლისა.

სახლი მისი არს ურგებსა შინა, სახლეულნი მისნი არიან მიცემულ წარმგებლობასა და მომთვრალობასა შინა და ყოველნი მსწრაფლ არიან დაქცევად მისა.

იგი ჰხედავს ამას, ესმის, არყევს თავსა და ჰყოფს სასურველსა, თვინიერ ფიქრისა; მსგავსებს იგი მუნამდე გრიგალსა, ვინამე მივიდოდეს წარწყმედისადმი თვისისა: სირცხვილი სინანულითურთ მიიყვანს მას საფლავსა შინა.

## ყურმოკრული საუბარი

— რათ მოხველი ჩემთან დღეს ეგრე გვიან?

— იცი რათა, ჩემო სულო! დღეს სახლში ჩემს მოვალეს ველოდი.

— სტყუი, სტყუი!.. მაშინ უფრო ჩქარა გამოხვიდოდი სახლიდან.

—

კულისებში. ორი მოცეკვავე ქალი ლაპარაკობს:

— დღეს მე რომ პარტერში გავიხედე ჩემი თავი ტყეში მეგონა.

— რათა?

— იმიტომ, რომ კრესლოებში სულ თავ-მოტვლეპილი სოკოები სხედან.

—

სოფლის სასამართლოში.

— ქაღალდებიდანა სჩანს, რომ შენ უკვე მოკვდი და ამისათვის ბილეთს ვერ მოგცემ.

— მე ოჯახქორო, ხომ არ გაგიჟდი, რამ მამკლა ვერა ხედავ რა ტალიკა ბიჭი ვდგევარ!

— მაშ შარშან რომ მოკვდა, შენ იყავ თუ შენი ძმა?

— განა არ იცი რომ ჩემი ძმა იყო

— ბევრს ნუ უბედობ, დავთრებში ისე სწერიხარ, რომ შენ მოკვდი. ბევრს ნუ მიედ-მოედები, ჩვენ უკეთ ვიცით თუ, ვინ არის მკვდარი და დავთარში კი მკვდრათა სწერიხარ!..


# განცხადებანი

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**

**Б. М. Мириманiана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—52)

# ურბენი Lurbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—46)

1899. **ОТКРЫТА ПОДПИСКА** 1899.

НА ЕЖЕДНЕВНУЮ, ПОЛИТИЧЕСКУЮ, УЧЕНУЮ и ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

# СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

**годъ изданія 87-й** ПЕРВОЕ ИЗДАНІЕ **годъ изданія 87-й**

издаваемую Спб. Акціон. Обществомъ печатнаго дѣл „Издатель“

подъ редакціей **А. К. Шеллера (А. Михайлова)**.

Въ будущемъ году газета будетъ выходить при участіи Л. А. Авиловой К. С. Баранцевича, В. В. П. П. Веймарна, Н. Г. Гарина (Михайловскій). М. Б. Городецкаго, П. В. Засодимскаго, И. Ивановича, С. Н. К., Н. В. Максимова, Д. Н. Мамина-Сибиряка, Г. А. Мачтета, К. В. Назарьевой, Вас. И. Немировича-Данченко, И. Н. Потапенко, Н. О. Пружанскаго, Э. Л. Радлова. Н. А. Рубакина, А. Сакмарова, А. М. Скабичевскаго, М. Слобожанина, К. М. Станюковича, В. А. Тимирязева, А. М. Хирьякова, А. К. Шеллера и др.

Въ ежедневныхъ нумерахъ газеты „*Сынъ Отечества*“ помѣщаются: руководящія статьи и замѣтки, литературы науки, экономической и общественной жизни во всѣхъ ея проявленіяхъ, административныя и придворныя извѣстія, а также корреспонденціи какъ заграничныя, такъ и внутреннія телеграммы (внутреннія и иностранныя): статьи по военному дѣлу, сельскому хозяйству, историческія статьи и замѣтки; торгово-промышленныя и биржевыя свѣдѣнія, судебные отчеты литературныя театральныя и музыкальныя рецензіи, библіографіи, біографіи и некрологи современныхъ общественныхъ дѣятелей, фелетонъ общественной жизни и беллетристика, русская, и иностранная.

КРОМѢ ЕЖЕДНЕВНЫХЪ НУМЕРОВЪ ГАЗЕТЫ, ГОДОВЫЕ ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

**52 НУМЕРА ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ** печатаемыхъ въ видѣ **еженедѣльнаго журнала**, гдѣ помѣщается: историческіе и современные романы, повѣсти, разсказы, стихотворенія научныя, новости и заключаетъ болѣе:

**300 ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ РИСУНКОВЪ:** портреты историческихъ и современныхъ общественныхъ дѣятелей, историческія, бытовыя и современныя иллюстраціи, а также карикатуры, шахматныя, шашечныя задачи и проч., что въ теченіе года составитъ большой сборникъ интересныхъ литературныхъ произведеній и иллюстрацій.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на первое изданіе (съ доставкою):

на годъ—**8** р. на полгода—**4** р. на три мѣсяца—**2** р. на одинъ мѣс.—**1** р.

**ВТОРОЕ ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ «СЫНЪ ОТЕЧЕСТВА»**

ВТОРОЕ ИЗДАНІЕ „Сына Отечества“ является не сокращеннымъ повтореніемъ большого изданія, а представляетъ собою самостоятельную газету, въ которую входятъ телеграммы, хроника и общеинтересный матеріалъ и въ которой имѣются особые отдѣлы (сельско-хозяйственныя свѣдѣнія, научныя мелочи, обиходная рецептура и т. п.).

ВТОРОЕ изданіе представляетъ собою въ Россіи первое дешевое ежедневное изданіе съ иллюстраціями.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на второе изданіе (съ доставкою и перес. по Россіи).

На годъ—**4** руб. На полгода—**2** руб. На три мѣсяца—**1** руб.

ЗА ГРАНИЦУ: на годъ—**10** р., на 6 мѣс.—**6** р., на 3 мѣс.—**3** р.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ **въ ГЛАВНОЙ КОНТОРѢ: СПБ., НЕВСКІЙ ПР., Д. № 68—40**, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ, какъ столичныхъ такъ и провинціальныхъ.

(8—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Декабря 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია